ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3937288

ნომერი: AR1594561

თარიღი : 22.04.2018

გაცემის თარიღი : 30.04.2018

გაცნობის თარიღი : 09.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 , ნაკვეთი 15/018 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 , მიმდებარედ , ნაკვეთი 15/019;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ჩიხლაძე პ/ნ 01033004448
- თბილისი ბ.ჭიჭინაძის ქ. კორ. 29დ ბ. 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- საკადასტრო მონაცემების თანახმად, სავარაუდოა, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) კ-1 კოეფიციენტი (0.5) ათვისებულია არსებული მდგომარეობით. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობისა და საპროექტო კაპიტალური ღობის საანგარიშო კონტურები შესაბამისი ფართობების მითითებით.

- ვინაიდან საპროექტო სამუშაოები ასევე ითვალისწინებს ჭიშკრის მოწყობას, აღნიშნული დატანილ იქნას საკადასტრო გეგმაზე, ხოლო ღობეზე მითითებულ იქნას სისქის ზომა.

- ასევე, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, საჭიროა ღობის მასალის ფერითი გადაწყვეტა მოხდეს არსებული გარემოსა და შენობა-ნაგებობების მისადაგებულ ფერში. საჭიროა დოკუმენტაცია დაკორექტირდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად და ფოტომონტაჟზე დატანილ იქნას გამოყენებული საღებავების ფერს RGB ან RAL კოდები ექსპლიკაციის სახით.

- საჭიროა წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა/მინდობილობა ან თანამესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.